

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებანი №12, 1984 წელი, გვ. 5) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) 57 -ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 57.** წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების დარღვევა

წიადის გეოლოგიური შესწავლის სამუშაოთა წარმოების მოთხოვნების დარღვევა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ან მოჰყვა მიწისქვეშა წყლებზე დაკვირვების სარეჟიმო ჭაბურღილების, სამარკშიდერო და გეოდეზიური ნიშნების მოსპობა ან დაზიანება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მათი დამცავი ზონების ხელყოფა, გეოლოგიური ინფორმაციის საკუთრების უფლების დარღვევა, წიადის შესახებ დაგვიანებული ან ცრუ ინფორმაციის შეგნებულად მიწოდება, –

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან სამოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.“

ბ) 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 88.** კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოყენებისა და მათზე სამუშაოების და არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების წესების დარღვევა

1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების კანონმდებლობით დადგენილი წესების, ასევე შესაბამისი პროექტის ან სხვა სანებართვო პირობების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის მიმართ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 3 000 ლარით.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლის მიმართ, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარით.

4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება კანონმდებლობით დადგენილი ნებართვის გარეშე, ან ძეგლზე იმგვარი ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება ძეგლს შეუქმნას, დაზიანების განადგურების ან გატაცების საფრთხე

– გამოიწვევს დაჯარიმებას ამ მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ობიექტებისათვის დადგენილი ჯარიმის ორმაგი ოდენობით.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დაჯარიმების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შესაბამისი ჯარიმის ოდენობა გასამმაგდება წინა ჯარიმის ოდენობასთან შედარებით ყოველ 6 თვეში.“

გ) 89-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 89.** დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა

1. დაცული ტერიტორიებისა და მათი ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების დაცვის წესებისა და რეჟიმის დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოციდან ორმოც ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის, სახელმწიფო ნაკრძალის, ეროვნული პარკის ბუნების მკაცრი დაცვის ზონის, ბუნების ძეგლის, ბიოსფერული რეზერვატის ბირთვის (ბუნების მკაცრი დაცვის) ზონის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის დადგენილი საზღვრების ფარგლებში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას ოცდახუთიდან ორმოცდაათ ლარამდე.

**დ) 147<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.“

**ე) 150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

2. იგივე ქმედება, ჩადენილი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

**ვ) 239 მუხლი ის მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10. ამ კოდექსის 88-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საამისოდ უფლებამოსილი პირები ან მის სისტემაში შემავალი ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.“

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.**

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი